საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № ი-493

ქ. თბილისი "16" 09 2009 წ.

შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ წარმოდგენილ „ლილო-ვაზიანის გადასარბენზე (კმ 15 პკ 10) არსებული დაზიანებული ხიდის ნაცვლად ახალი ხიდის მოწყობის და მისასვლელი რკინიგზის ლიანდაგის რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების" ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №83; 10.09.09წ ლილო-ვაზიანის გადასარბენზე (კმ 15 პკ 10) არსებული დაზიანებული ხიდის ნაცვლად ახალი ხიდის მოწყობის და მისასვლელი რკინიგზის ლიანდაგის რეკონსტრუქციაზე.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.
3. შპს „საქართველოს რკინიგზა"-მ უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება.
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №83 10.09.09წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

ალექსი მაჭავარიანი
მინისტრის პირველი მოადგილე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას, შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს.